



MES 0 20 0000941270



05/10/2020

### სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი

#### ქ. თბილისი

სხდომის ჩატარების თარიღი 17/09/2020

სხდომის დაწყების დრო 14:00 სთ

სხდომის დამთავრების დრო 15:00 სთ

საბჭოს თავმჯდომარე - ნინო ოკრიბელაშვილი

საბჭოს მდივანი - დავით ჭეიშვილი

#### სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

**ნინო ოკრიბელაშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;

**თამარ მამსიკაშვილი** - სსიპ - ქალაქ თბილისის №64 საჯარო სკოლის დირექტორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

**დავით ჭეიშვილი** - სსიპ - ვაჟა-ფშაველას სახელობის ქალაქ თბილისის N87 საჯარო სკოლის დირექტორი - საბჭოს მდივანი;

**თამარ ვეფხვაძე** - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში კონსულტანტი, ფილოლოგიის დოქტორი;

**მანანა სამხარაძე** - სსიპ - ქალაქ თბილისის N220 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

**თეა სიფრაშვილი** - პროფესიული განათლების ექსპერტი;

**ნინო კვეციანი** - შპს „აღმოაჩინე საქართველოს“ დირექტორი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე სააპელაციო საბჭოს სხდომის ჩატარება მოხდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღოთ მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

## სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

№	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ანა ლელაძე	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:**

**შპს საქართველოს უნივერსიტეტი:**

**მალხაზ ბეგიაშვილი** - პროგრამის ხელმძღვანელი;

**არჩილ ჯანგირაშვილი** - აკრედიტაციის განყოფილების უფროსი;

**ქეთევან გივიშვილი** - სამართლის ფაკულტეტის ხარისხის ხელმძღვანელი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28<sup>5</sup> მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ოკრიბელაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28<sup>5</sup> მუხლის მე-5 პუნქტის, შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28<sup>7</sup> მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:**

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „სამართალმცოდნეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული სააპელაციო საჩივრის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

## სხდომის დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „სამართალმცოდნეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული სააპელაციო საჩივრის განხილვა;

**1.პირველი საკითხი** - შპს საქართველოს უნივერსიტეტის „სამართალმცოდნეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული სააპელაციო საჩივრის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1.	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალმცოდნეობა
2.	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
3.	კვალიფიკაციის დონე	მერვე
4.	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის დოქტორი 0421
5.	სწავლების ენა	ქართული
6.	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	180
7.	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	10/04/2020

## საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცხევა

✓ კი

საბჭოს წევრმა, დავით ჭეიშვილმა განაცხადა თვითაცხევა და დააფიქსირა, რომ აღნიშნული დაწესებულების სააპელაციო საჩივრის განხილვის დროს, რომელიც ეხებოდა „ფსიქოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას, ადგილი ჰქონდა ინცინდენტს და აღნიშნული გარემოების გამო ის თავს შეიკავებს კენჭისყრაში და გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობისაგან.

ცენტრის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით უზრუნველყო საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლების ჩართვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარსა და დაკავშირებულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

## ზეპირი მოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭოზე არ არის წარმოდგენილი მოპასუხე მხარე, აკრედიტაციის საბჭოს წევრები არ ესწრებიან განხილვას, სხდომას ესწრება საბჭოს წევრების უმრავლესობა, შესაბამისად საბჭო ლეგიტიმურია დაიწყოს განხილვა. მან სთხოვა აპელანტს წარმოედგინოს მისი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მალხაზ ბეგიაშვილმა განაცხადა, რომ შპს საქართველოს უნივერსიტეტმა „სამართალმცოდნეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა რეკრედიტაციის მიზნით ცენტრში წარადგინა 2019 წლის 14 აგვისტოს, ექსპერტთა ჯგუფის სააკრედიტაციო ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა 2020 წლის 17 იანვარს, ექსპერტების მხრიდან საფუძვლიანად მოხდა პროგრამისა და მასთან დაკავშირებული მასალის შესწავლა. ექსპერტებს დოკუმენტაციის შესწავლის შემდგომ არ დარჩენიათ კითხვის ნიშნები რაც მათი მხრიდან აღინიშნა კიდევ, ჯგუფი კმაყოფილებას ვერ მალავდა გარკვეულ მიგნებებთან დაკავშირებით. განხორციელებული შესწავლის შედეგად შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, რომლის თანახმად პროგრამა პირველ, მეორე და მეხუთე სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა მეტწილად, ხოლო მესამე და მეხუთე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა სრულად შესაბამისობით. აკრედიტაციის საბჭოს სხდომა გაიმართა 2020 წლის 30 მარტს დისტანციურად, სადაც მიღებული იქნა გადაწყვეტილება პროგრამისათვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების შესახებ. რაც შეეხება სამართლებრივ შეფასებას, აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 30 მარტის №62 გადაწყვეტილება წარმოადგენს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეორე მუხლის პირველი ნაწილის დ - ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს, შესაბამისად სააპელაციო საბჭოს წინაშე დგას ამოცანა შეაფასოს სადაო გადაწყვეტილების როგორც ფორმალური ისე მატერიალური კანონიერება. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის დ - ქვეპუნქტის მიხედვით ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი ბათილად უნდა გამოცხადდეს თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადებისა და გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე გამოკვეთილია ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ორი ძირითადი საფუძველი, პირველი გახლავთ აქტის მომზადებისა და გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების არსებითი დარღვევა, ხოლო მეორე აქტის მატერიალური არაკანონიერება. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 30 მარტის №62 სადაო გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ორივე საფუძველი. სადაო გადაწყვეტილებაში საბჭომ არ გაიზიარა ექსპერტების შეფასება და აღნიშნა, რომ პირველი სტანდარტის 1.1 კომპონენტის შეფასება ნაცვლად მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან უნდა შეფასდეს ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, შესაბამისად პირველი სტანდარტი შეფასდა როგორც ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. არსებითად მნიშვნელოვანია, რომ საბჭოს შეფასება არის თვითნებური და შესაბამისად არ გამოუკვეთია 1.1 კონპონენტის ნაწილობრივი შესაბამისობის საფუძველი. ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების კანონიერების დადგენა უპირველესად მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებიდან ხდება შესაძლებელი, შესაბამისად საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლი ადმინისტრაციულ ორგანოს ავალდებულებს მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებას. დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებულ გადაწყვეტილებას წაეყენება დასაბუთების ვალდებულება და იმდენად რამდენადაც ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა გამორიცხოს თვითნებური, მიკერძოებული, არაკვალიფიციური გადაწყვეტილება და უნდა დაასაბუთოს მიღებული გადაწყვეტილების კანონთან შესაბამისობა და კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობა. დასაბუთებაში არგუმენტირებულად უნდა მიეთითოს ყველა იმ გარემოებაზე რომლის შესაბამისად მიღებული იქნა კონკრეტული გადაწყვეტილება და უარი ეთქვა სხვა სახის გადაწყვეტილებას. სადაო გადაწყვეტილებაში ერთ წინადადებიანი დასაბუთებაც არ არის. გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება აკრედიტაციის საბჭოს ასევე აკისრებს აკრედიტაციის დებულების 27<sup>5</sup> მუხლის მეხუთე პუნქტი. აღწერილი ვალდებულებების მიუხედავად, სადაო გადაწყვეტილება არ შეიცავს დასაბუთებას

ექსპერტთა დასკვნის შეცვლის და პირობითი აკრედიტაციის მინიჭების მიზანშეწონილობის შესახებ, აღნიშნულ პირობებში საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის ბუნდოვანია კონკრეტულად რა გარემოება მიიჩნია საბჭომ სტანდარტთან შეუსაბამოდ, რაც ასევე ზღუდავს უნივერსიტეტის შესაძლებლობას ეფექტურად უარყოს ის მონაცემები თუ მტკიცებულებები რომელსაც დაეფუძნა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, რისი უფლებაც დაწესებულებას მინიჭებული აქვს აკრედიტაციის დებულებით. გარდა ამისა რასებითად მნიშვნელოვანია, რომ აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე, აკრედიტაციის საბჭოს წევრების მხრიდან აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ დასმულა არცერთი შეკითხვა, რასაც მოწმობს აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 30 მარტის №15 ოქმი. თუ საბჭომ ჩათვალა, რომ ექსპერტთა დასკვნა აღნიშნულ ნაწილში იყო არასაიმედო, ზეპირი მოსმენისას მას ეს საკითხი უნდა გამოეკვეთა და ექსპერტებისათვის მიეცა დამაზუსტებელი კითხვები 1.1 კონპონენტთან დაკავშირებით ან გადაედო სხდომა და დამატებით გამოეკვლია გარემოებები. თუ არ იზიარებ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას, ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოემშვება ვალდებულება განსაკუთრებულად დაასაბუთოს თუ რატომ არ იზიარებს ექსპერტის დასკვნას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომელიც არ იქნა გამოკვეთილი ან შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96 - ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები ადმინისტრაციულ ორგანოს ავალდებულებს რომ ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი გამოსცეს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოების სრულყოფილი გამოკვლევის და ამ გარემოებათა ურთიერთშეჯერების და შეფასების საფუძველზე. ამავე კოდექსის 97-ე მუხლით საქმისწარმოების გარემოებებიდან გამომდინარე ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოითხოვოს დოკუმენტები, შეაგროვოს ცნობები, მოუსმინოს დაინტერესებულ მხარეებს, გამოიყენოს აუცილებელი დოკუმენტები და აქტები მტკიცებულებების შეგროვებისა და გამოკვლევის მიზნით, მიმართოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ზომებს. აღნიშნული ნორმის განმარტებიდან ჩანს რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ ყოველმხრივ უნდა გამოიკვლიოს, სწორედ შეაფასოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და ისე გამოსცეს ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი. აღსანიშნავია, რომ გადაწყვეტილებაში არ არის გადაწყვეტილება და მის გამოქვეყნებას დასჭირდა თითქმის სამი თვე, მაშინ როდესაც ადმინისტრაციული პროცესის ეკონომიურობა მნიშვნელოვანი პრინციპია. ასეთ გადაწყვეტილებასთან შეგუება დანაშაულის ტოლფასია და საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება მიმართავს სასამართლოსაც. აკრედიტაციის დებულების თანახმად, სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია გამოიკვლიოს გარემოებები ზეპირ მოსმენაზე, ამასთან სამართლებრივი სიცხადის პრინციპიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო დაწესებულებას უფლება აქვს აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე საკითხის ზეპირი განხილვისას გადაწყვეტილების მიღებისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების გამოკვლევისათვის წარადგინოს თავისი პოზიცია. ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება არ უნდა იყოს მოულოდნელი, ის უნდა იყოს განჭვრეტადი, დასაბუთებული, მტკიცებულებების შეჯერების საფუძველზე მიღებული. მათთვის მოულოდნელი იყო ასეთი გადაწყვეტილება, საბჭოს სხდომამ ჩაიარა ზარზეიმით და შემდგომ გამოუცხადეს რომ პროგრამა მიიღო პირობითი აკრედიტაცია. ასევე აღსანიშნავია, რომ გადაწყვეტილების პირველ პუნქტში, სამართლებრივ საფუძველებში არასწორად არის მითითებული ზოგიერთი საკანონმდებლო ნორმა. მაგალითად, უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტი. ვინაიდან სამართალმცოდნეობის პროგრამა გახლავთ რეგულირებადი პროგრამა, მითითებული უნდა იყოს ზემოთ აღნიშნული კანონის 77 -ე მუხლი, სწორედ ამ მუხლის სათაურია რეგულირებადი პროგრამების აკრედიტაცია. ასევე გადაწყვეტილებაში საგულისმოა 2.4 პუნქტი, სადაც თვალნათლივ არ არის ასახული რის საფუძველზე მიიღო საბჭომ გადაწყვეტილება. რაც შეეხება გადაწყვეტილების სარეზოლუციო

ნაწილს, მითითებულია ის სამართლებრივი საფუძვლები რის საფუძველზეც მიიღო აკრედიტაციის საბჭომ გადაწყვეტილება. მითითებულია აკრედიტაციის დებულების 33-ე მუხლი, მაშინ როდესაც აკრედიტაციის დებულება შედგება 31 მუხლისაგან. ასევე მითითებულია რომ გადაწყვეტილების მიღებისას საბჭომ გამოიყენა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლი, რაც სწორედ აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ მოქმედებს ვინაიდან აღნიშნულ მუხლში მითითებული არის რომ ინდივიდუალურ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას, რასაც სადაო გადაწყვეტილება არ შეიცავს. ასევე აღნიშნულია რომ სარეზოლუციო ნაწილს წინ უნდა უძროდეს დასაბუთება, რომელიც სადაო გადაწყვეტილებაში ფორმალურად არის მოცემული და მასში არ წერია გადაწყვეტილების მიღების შესახებ დასაბუთება. აღნიშნული მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად თუ ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემისას მოქმედებდა დისკრეციული უფლების ფარგლებში, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემისას. მეხუთე ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, მტკიცებულებებზე, ფაქტებზე ან არგუმენტებზე, რომელიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს. მეექვსე ნაწილის თანახმად, თუ ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოსაცემად კანონმდებლობა ითვალისწინებს საექსპერტო დასკვნის არსებობას, წერილობით დასაბუთებაში მიეთითება ამ დასკვნის შინაარსი. სადაო გადაწყვეტილებაში არ არის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის შინაარსი, მხოლოდ მითითებულია რომელი სტანდარტი როგორ შეფასდა. ყოველივე ზემოაღნიშნულის გადაწყვეტილებით აკრედიტაციის საბჭოს სადაო გადაწყვეტილება ბათილად უნდა იქნეს ცნობილი, ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი მიღებულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტებისა და გარემოებების გამოკვლევის გარეშე.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მალხაზ ბეგიაშვილმა აღნიშნა, რომ ვინაიდან საბჭოს არ გამოუკვეთია გარემოება და უცვლელად გაიზიარა 1.1 კონპონენტან დაკავშირებით ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რეკომენდაცია, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საბჭო არ დაეთანხმა აღნიშნული რეკომენდაციის პირობებში სტანდარტის მეტწილად შეფასებას და მიიჩნია ნაწილობრივ შესაბამისად. 1.1 კონპონენტის თანახმად პროგრამის მიზნები უნდა ასახავდეს თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისაკენ არის მიმართული პროგრამა და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. აკრედიტაციის დებულების დანართი 3 თანახმად ერთ-ერთი კრიტერიუმია, რომ პარაგრაფის მიზნები იყოს ნათლად ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადი. ამის გარდა ცენტრის ვებ გვერდზე გამოქვეყნებულ სახელმძღვანელოში, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდნენ როგორც ექსპერტები ასევე აკრედიტაციის საბჭოს წევრები, ყველა სტანდარტთან მიმართებაში მოცემულია ის ახსნა-განმარტებები დაწვრილებითი თუ რა უნდა გააკეთოს დაწესებულებამ იმისათვის რომ დააკმაყოფილოს სტანდარტი. პირველი სტანდარტის 1.1. კონპონენტი რომელიც ეხება პროგრამის მიზნებს განმარტავს, რომ პროგრამას უნდა ჰქონდეს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები, რომელშიც ასახული იქნება თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს მოამზადებს პროგრამა. პროგრამის მიზნები უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას, ასევე დარგის სპეციფიკასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. „სამართლამცოდნეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანში წერია, რომ პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადება რაც მოიცავს სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობისათვის საჭირო უნარების გამომუშავებას და განვითარებას. კერძოდ, კურსდამთავრებულს ეცოდინება სამეცნიერო კვლევის განხორციელების მეთოდოლოგია და მის საფუძველზე შეძლებს კვლევის დამოუკიდებლად წარმოებას, რითიც ხელს შეუწყობს სამართლის სფეროში ახალი ცოდნის დანერგვას და სამართლის დარგის მეცნიერულ განვითარებას. კურსდამთავრებულს ექნება

უმადლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში პედაგოგიური საქმიანობის განხორციელების უნარი. შედეგად პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს დასაქმდეს სამართლის დარგში კვლევით და სამეცნიერო ორგანიზაციებსა და ინსტიტუტებში მეცნიერ მკვლევარად ან/და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიურ თანამდებობებზე. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით მისთვის გაუგებარია მეტი რა უნდა იყოს გადმოცემული სადოქტორო პროგრამის მიზანში. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემულ რეკომენდაციაში მითითებულია რომ წარმოდგენილი იყოს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუქა საიდანაც გამოიკვეთებოდა მათი ურთიერთმიმართება. აღნიშნული აუცილებელია პროგრამის მიზნების მიღწევადობის და რეალისტურობის შესაფასებლად. არსანიშნავია რომ სწავლის შედეგების პროგრამის მიზნებთან შესაბამისობა რაც გამოკვეთს მიზნების მიღწევასა და რეალისტურობას თავისთავად ჩანს საგანმანათლებლო პროგრამაში, რომელიც შეიცავს აღნიშნული შედარებითი ანალიზისათვის საჭირო ორივე კომპონენტს. პროგრამის მიზნებს და სწავლის შედეგებს, რუქა ამ შემთხვევაში არის აღნიშნული მიმართების გამოსახვის საშუალება და ის თავისთავად ამ მიმართებას ვერ დაადასტურებს. სადაო გადაწყვეტილებაში არ არის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებული თავად პროგრამის მიზნების მიღწევადობა და რეალისტურობა, თუმცა მათ მაინც წარმოადგინეს წერილობით საჩივარში პროგრამის მიზანი და შესაბამისი სწავლის შედეგები სადაც ცალსახად იკვეთება სწავლის შედეგების პროგრამის მიზნებთან მიმართება რაც განაპირობებს სწავლის შედეგების მიღწევის ხარჯზე მიზნის რეალიზების მიღწევადობასა და რეალისტურობას. საყურადღებოა რომ პროგრამა დაწესებულებამ წარადგინა არა აკრედიტაციისათვის არამედ რეაკრედიტაციისათვის. მათ პროგრამის მიზნები არ შეუცვლიათ ანუ გამოდის რომ წინა აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებას არ ენდობიან სადაც პროგრამას მიენიჭა სრული აკრედიტაცია. საერთო ჯამში ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემული 10 რეკომენდაციიდან სადაო გადაწყვეტილებაში რეკომენდაციის სახით გათვალისწინებულია 6 რეკომენდაცია საიდანაც 5 უცვლელი ფორმით არის შემოთავაზებული. საბჭომ შეცვალა რეკომენდაციის ფორმულირება 1.2 კონპონენტთან მიმართებაში, თუმცა აღნიშნული ცვლილების შესახებ არც ზეპირი მოსმენისას განუცხადებია და არც გადაწყვეტილებაში განუმარტავს. შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულება მოკლებული იყო მასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრების დაფიქსირების საშუალებას. საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია ერთი წლისა და ექვსი თვის ვადით, აღნიშნული ვადის გასვლამდე დაწესებულებამ უნდა წარადგინოს სახეცვლილი პროგრამა პირველ სტანდარტთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში თუ უნივერსიტეტისათვის უცნობი იქნება კონკრეტულად როგორ უნდა გაუმჯობესდეს შესაბამისი სტანდარტი შეუძლებელი იქნება აღნიშნული პირობის შესრულება. შესაბამისად, საბჭო ფაქტობრივად არ აძლევს დაწესებულებას მოცემული პირობის შესრულების შესაძლებლობას. ეს თავის მხრივ ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ გადაწყვეტილების მიზანი ის კი არ არის რომ უმაღლესმა სასწავლო დაწესებულებამ აღმოფხვრას პრობლემა თუ ასეთი არსებობს, არამედ ის რომ აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ კვლავ განუსაზღვრელი და ბუნდოვანი გადაწყვეტილება დადგეს. წინამდებარე საჩივარში წარმოდგენილი მსჯელობის გათვალისწინებით, სახეზეა სადაო გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ორივე საფუძველი.

## დისკუსია

საბჭოს წევრმა, თეა სიფრაშვილმა გამოთქვა მოსაზრება და განაცხადა, რომ დეტალურად იყო ჩამოყალიბებული დაწესებულების პოზიცია, როგორც სააპელაციო საჩივარში ასევე ზეპირ მოსმენაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ოქმის მიხედვით ყურადღება არ არის გამახვილებული იმ საკითხებზე რის გამოც მოხდა 1.1 კონპონენტის შეფასების დაწევა. ასევე არ არის

წარმოდგენილი შესაბამისი დასაბუთება. ოქმის თანახმად იყო საკმაოდ საინტერესო მსჯელობა სწავლის შედეგების 3 და 6 დონიან დაყოფაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მალხაზ ბეგიაშვილმა განაცხადა, რომ აღნიშნულის თაობაზე ნამდვილად მიმდინარეობდა დისკუსია აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე, თუმცა ეს არ იყო მიზეზი რის გამოც პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია და მოხდა სტანდარტის შეფასების დაწევა.

საბჭოს წევრმა, ნინო კეკელიძემ განაცხადა, რომ როდესაც მოხდა 1.1 კონპონენტის შეფასების დაწევა, სხდომის ოქმშივე გაწერილი რეკომენდაციების და რჩევების საფუძველზე რამდენად მიიღო დაწესებულებამ პასუხი იმაზე თუ რატომ მოხდა შეფასების ცვლილება. მოცემული რეკომენდაციები ეხება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს, რომელიც ერთი წლის წინ განახლდა, სწავლის შედეგების რუქას და ა.შ. მას აინტერესებს რამდენად თვლის დაწესებულება რომ მითითებული რეკომენდაციების და რჩევების მიხედვით შესაძლებელი იყო ამოკითხათ პასუხი გარკვეულწილად პირველი სტანდარტის შეფასების დაწევის შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მალხაზ ბეგიაშვილმა განაცხადა, რომ თუ მოიშველიებს კანონმდებლობას, დასაბუთება არ ნიშნავს მსგავსი ტიპის რეკომენდაციას და გადაწყვეტილების საფუძველთან მიმართებაში უნდა იყოს მოცემული დასაბუთება. აღნიშნულ შემთხვევაში მოცემული რეკომენდაციები ეხება სხვა სტანდარტებს. სააპელაციო საჩივარს თან ერთვის სწავლის შედეგების რუქა, რომელიც ნათლად ასახვას მიმართებას, თუმცა შესაძლებელია იყოს დიზაინის საკითხი. აღსანიშნავია, რომ მოცემული რუქა არ არის კავშირში პირველი სტანდარტის 1.1. კონპონენტთან.

14:34 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება~

სხდომა განახლდა 14:55 საათზე

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს უნივერსიტეტის „სამართალმცოდნეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსთვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მნიშვნელოვანია გადაწყვეტილებაში მითითებული იყოს დასაბუთება სტანდარტის ცვლილებასთან დაკავშირებით. შესაბამისად საბჭოს წევრებმა გაიზიარეს დაწესებულების წარმომადგენლის მიერ წარმოდგენილი პოზიცია.

## **კენჭისყრის შედეგები**

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

## **გადაწყვეტილება**

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო



დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტისა და 28<sup>7</sup> მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს შპს საქართველოს უნივერსიტეტის „სამართალმცოდნეობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

15:00 სხდომა დახურულად გამოცხადდა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
სააპელაციო საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
ოკრიბელაშვილი ნინო

ნ. თეთრაძე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / სააპელაციო საბჭო  
მდივანი  
ჭეიშვილი დავით

